

მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე ახალი რეგულაციები წესდება (საკანონდებლო ინიციატივა და არსებული პრაქტიკის მიმოხილვა)

პარლამენტი პირველი მოსმენით განიხილავს 5 ივნისს დარეგისტრირებულ მთავრობის [ინიციატივას](#) - კანონის პროექტს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“. შრომით უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება გამოითქვა და მიმდინარეობდა დისკუსია ასევე საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში.

უმნიშვნელოვანესია, კანონმა უზრუნველყოს დასაქმებულთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის ეფექტური გარანტიები, ნაცვლად არაეფექტური და კორუფციისკენ მიდრეკილი სისტემის შექმნისა. შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სახელმწიფო იყენებდეს მის ხელთ არსებულ ყველა მექანიზმს, რომელიც უკვე განერილია ჩვენ კანონმდებლობაში.

სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე მუხლისა და XXXI თავით გათვალისწინებულ სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის შემთხვევებზე 2012-2017 წლებში საქართველოს პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 209 შემთხვევაში, აქედან 20 შემთხვევაში შეწყდა დევნა. საერთო სასამართლოებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად 2012-2017 წლებში, **საქალაქო და რაიონული სასამართლოების მიერ განხილულია 130 საქმე, სასჯელის ზომად და სახედ ბრალდებულ პირებთან მიმართებაში მეტწილად გამოყენებულია პირობითი მსჯავრი და საპროცესო შეთანხმება, მხოლოდ 12 შემთხვევაში იქნა გამოყენებული თავსუფლების აღკვეთა.**

შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ასევე განპირობებულია საერთაშორისო აქტებით ნაკისრი ვალდებულებებით. გასათვალისწინებელია ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, რაც კონკრეტულ შემთხვევებზე არასათანადო რეაგირებაში გამოიხატება.

არსებული მდგომარეობა და შრომის უსაფრთხოების სფეროში პრაქტიკის მიმოხილვა

ინიცირებული კანონპროექტი განისაზღვრავს შრომის ბაზარზე არსებული საწარმოებისთვის შრომის უსაფრთხოების კუთხით წესებსა და რეგულაციებს. კონკრეტდება დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობის ფარგლები. კანონის მოქმედება ვრცელდება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, რომელთა ჩამონათვალს კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

კომპანიებში შრომის პირობების ინსპექტირების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის [დადგენილება](#)¹. შრომის პირობების ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამის ამოცანას წარმოადგენს: შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენცია, გამოვლენილ დარღვევებზე დამსაქმებულთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება, ინფორმირება და კონსულტირება, იძულებითი შრომის პრევენციის მიზნით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შესაბამისი სტანდარტების შემუშავება/გადასინჯვა; შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუციონალური რეფორმის საჭიროების განსაზღვრა. ინსპექტირების ჩატარების წესი მტკიცდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ამავე დადგენილებით, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორებისთვის აუცილებელია *დამსაქმებლის მხრიდან გამოხატული თანხმობა*². ამავე დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი ამზადებს არასაჯარო დაკვნებს/ანგარიშებს. დეპარტამენტს არ გააჩნია საანქცირების მექანიზმი. აღმოჩენილ დარღვევებთან დაკავშირებით გაიცემა რეკომენდაციები.

¹ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის #627 დადგენილება

² შრომის პირობების ინსპექტირების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის “ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი

დეპარტამენტის მიერ უბედური შემთხვევის გამოკვლევა ხორციელდება დამსაქმებელთან შეთანხმების შემთხვევაში. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად³, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2016-2017 წლებში დაასრულა 10 უბედურ შემთხვევაზე გამოკვლევა. უბედური შემთხვევების გამოკვლევა არ ითვალისწინებს სანქციონების მექანიზმს. დეპარტამენტის თვალსაზრისით დანაშაულის შესაძლო ნიშნების არსებობის შემთხვევაში საქმე შემდგომი რეაგირებისთვის გადაცემა შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს.

2015 წელს	შემოწმდა 118 კომპანია, გამოვლინდა 588 დარღვევა, რეკომენდაციების საფუძველზე გამოსწორდა - 116
2016 წელს	შემოწმდა 96 კომპანია, გამოვლინდა 1275 დარღვევა, რეკომენდაციის საფუძველზე გამოსწორდა - 6
2017 წელს	შემოწმდა 72 კომპანია, გამოვლინდა 785 დარღვევა.

³ 2017 წლის 22 მაისის მდგომარეობით

ცხრილი 1. უბედურ შემთხვევათა შესახებ მონაცემები

კომპანიის დასახელება	უბედური შემთხვევის თარიღი	საქმიანობის სფერო
შპს „საქნახშირი ჯი აი ჯი“	09.05.2017 (მიმდინარეობს გამოკვლევა)	სამთო მოპოვება
შპს „ჯეოსთილი“	28.03.2017	მეტალურგიული მრეწველობა
შპს“ჯორჯიან მანგანები“-ს ფეროშენადნობი ქარხანა	06.01.2017	მეტალურგიული მრეწველობა
შპს“ჯორჯიან მანგანები“-ს ყიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის პერევის მაღარო	04.01.2017	სამთო მოპოვება
შპს“ჯორჯიან მანგანები“-ს ყიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის ითხვისის მაღარო	03.12.2016	სამთო მოპოვება
შპს „სოლო დეველოპმენტი“	18.10.2016	სამშენებლო საქმიანობა
სს „ჯი აი ჯი ჯგუფი -შპს საქნახშირი“	07.10.2016	სამთო მოპოვება
შპს „აიანი“	20.10.2016	სამშენებლო საქმიანობა
შპს „იბერიის ვარსკვლავი“	09.09.2016	სამშენებლო საქმიანობა
შპს „ედემი“, შემსრულებელი სამსენებლო კომპანია „ელ ეი ჯი+“	20.07.2016	სამშენებლო საქმიანობა
შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კოპორაცია“	29.06.2016	ენერჯეტიკა

ასევე მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილზე დასაქმებულის გარდაცვალების ფაქტებს რა სამართლებრივი შედეგები მოყვა და რამდენად ეფექტურია პროკურატურის საქმიანობა ამ მიმართულებით. შესაბამისად დავინტერესდით 2012-2017 წლებში საქართველოს პროკურატურის მიერ სამუშაო ადგილზე დასაქმებულის გარდაცვალების ფაქტებზე (მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე მუხლითა და ამავე კოდექსის XXXI თავის 240-ე, 2401-ე, 241-ე, 242-ე, 243-ე, 244-ე და 245-ე მუხლებით) გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და თითოეულ შემთხვევაში დამდგარი შედეგის შესახებ ინფორმაციით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXI თავი “სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა” ითვალისწინებს სანქციებს ისეთი დანაშაულებისთვის, როგორცაა: სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა, ელექტრო- ან თბოენერჯის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევა, აფეთქება საშიშ საწარმოში ან საამქროში უსაფრთხოების წესის დარღვევა, სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა და აშ. XXXI თავით გათვალისწინებული ზოგიერთი დანაშაულისათვის მაქსიმალურ სასჯელს წარმოადგენს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად 2012-2017 წლის ივნისის ჩათვლით პერიოდში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 209 შემთხვევაში და აქედან შეწყდა 20 შემთხვევაში.⁴

⁴ სამართლოდან მიღებული ინფორმაცია და პროკურატურის მიერ მოწოდებული სტატისტიკა არ ემთხვევა ერთმანეთს. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 209 შემთხვევაში და აქედან შეწყდა 20 შემთხვევაში, ხოლო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 130 საქმის განხილვა მოხდა საერთო სასამართლოებში.

ცხრილი 2. 2012-2017 წლებში საქართველოს პროკურატურის მიერ სამუშაო ადგილზე დასაქმებულის გარდაცვალების ფაქტებზე გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების და შეწყვეტის მაჩვენებლები

მუხლი/წელი	2012 დაიწყო/შენცდა		2013 დაიწყო/შენცდა		2014 დაიწყო/შენცდა		2015 დაიწყო/შენცდა		2016 დაიწყო/შენცდა		2017 (4 თვე) დაიწყო/შენცდა		სულ დევნა დაიწყო/შენცდა	
170 შრომის დაცვის წესის დარღვევა	3	0	8	3	10	0	8	0	11	0	1	0	41	3
240 სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა	35	1	8	4	26	1	33	2	24	4	4	1	150	13
240 ¹ ელექტრო ან თბოენერჯის, გაზის ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევა	1	0	4	1	3	0	0	1	2	0	2	2	12	4
241 ატომური ენერჯეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
242 აფეთქება საშიშ საწარმოში ან საამქროში უსაფრთხოების წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
243 სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0	4	0	0	0	0	0	4	0
244 ფეთქებადი, ადვილად ალე-ბადი, მწვავე ნივთიერების ან პიროტექნიკური ნაკეთობის აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის, გამოყენების ან გადაგზავნის წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0	2	0	0	0	0	0	2	0
245 ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნარჩენის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოპყრობის წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

საერთო სასამართლოებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, რაიონული და საქალაქო სასამართლოების მიერ 2012-2017 წლებში განხილულია 130 საქმე.

განხილულ საქმეებში საქალაქო და რაიონული სასამართლოების მიერ გამოყენებული სასჯელის სახედ და ზომად **138 ბრალდებულ პირთან მიმართებაში** გამოყენებულ იქნა:

- პირობითი მსჯავრი - 68
- საპროცესო შეთანხმება - 27
- ჯარიმა - 26
- თავისუფლების აღკვეთა - 12
- გამართლდა - 2
- განრიდება - 3

მათ შორის დამატებითი სასჯელის სახედ **სამეწარმეო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა** გამოყენებულ იქნა 3 შემთხვევაში, ხოლო ისეთი საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, რომელიც **საჭიროებს ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის ნებართვას** - 1 შემთხვევაში.

სააპელაციო სასამართლოებში⁵ განიხილეს 23 საქმე, აქედან პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება:

- უცვლელი დარჩა 6 შემთხვევაში
- შემსუბუქდა 1 შემთხვევაში
- გამკაცრდა 2 შემთხვევაში

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა 3 საკასაციო საჩივარი (2 დაუშვებლად იქნა ცნობილი, ხოლო ერთზე გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად).

⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა ინფორმაცია მოწოდებული

ცხრილი 3. საქალაქო და რაიონული სასამართლოების მიერ განხილული საქმეების რაოდენობა წლებისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით

საქალაქო და რაიონული სასამართლოები*						
მუხლი	2012	2013	2014	2015	2016	2017
170 შრომის დაცვის წესის დარღვევა	2	4	4	6	8	3
240 სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა	16	10	19	19	19	12
240 ¹ ელექტრო ან თბოენერჯის, გაზის ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევა	0	1	1	0	1	1
241 ატომური ენერჯეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0
242 აფეთქება საშიშ საწარმოში ან საამქროში უსაფრთხოების წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0
243 სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0
244 ფეთქებადი, ადვილად ალუბადი, მწვავე ნივთიერების ან პიროტექნიკური ნაკეთობის აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის, გამოყენების ან გადაგზავნის წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0
245 ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნარჩენის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოპყრობის წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0
სულ: 130 საქმე						

* 240/243 მუხლებით 2015 წელს 6 საქმე

ცხრილი 4. სააპელაციო სასამართლოების მიერ განხილული საქმეების რაოდენობა წლებისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო*						
მუხლი	2012	2013	2014	2015	2016	2017
170 შრომის დაცვის წესის დარღვევა	1	0	0	0	3	0
240 სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა	13	0	1	2	0	1
240 ¹ ელექტრო ან თბოენერჯის, გაზის ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევა	0	0	0	0	0	0
241 ატომური ენერჯეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0
242 აფეთქება საშიშ საწარმოში ან საამქროში უსაფრთხოების წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0
243 სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა	0	0	0	1	0	0
244 ფეთქებადი, ადვილად ალუბადი, მწვავე ნივთიერების ან პიროტექნიკური ნაკეთობის აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის, გამოყენების ან გადაგზავნის წესის დარღვევა	0	0	0	1 (244-ე მუხლთან ერთად)	0	0
245 ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნარჩენის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოპყრობის წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0

სულ: 23 საქმე

* თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია

ცხრილი 5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული საქმეების რაოდენობა წლებისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით

საქართველოს უზენაესი სასამართლო						
მუხლი	2012	2013	2014	2015	2016	2017
170 შრომის დაცვის წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0
240 სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0
240 ¹ ელექტრო ან თბოენერჯის, გაზის ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევა	0	0	1	0	1	0
241 ატომური ენერჯეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0
242 აფეთქება საშიშ საწარმოში ან საამქროში უსაფრთხოების წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0
243 სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა	0	0	0	0	1	0
244 ფეთქებადი, ადვილად აალებადი, მწვავე ნივთიერების ან პიროტექნიკური ნაკეთობის აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის, გამოყენების ან გადაგზავნის წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0
245 ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნარჩენის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოპყრობის წესის დარღვევა	0	0	0	0	0	0

სულ: 3 საქმე

ახალი რეგულაცია

“შრომის უსაფრთხოების შესახებ” კანონის პროექტის მიზანს წარმოადგენს სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა, კერძოდ:

- უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შესაქმნელად სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირების უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა
- სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების ორგანიზებისა და მართვის გაუმჯობესება
- უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემცირება და პრევენცია

განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ შრომის უფლებების მატერიალური და ინსტიტუციური მექანიზმებით უზრუნველყოფის საკითხები შეადგენს [„ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების“](#) ნაწილს⁶. ასოცირების შეთანხმების XXX-ე დანართი, მოიცავს 26 დირექტივას შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელთა საქართველოს კანონმდებლობაში ასახვა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ოთხიდან ცხრა წლამდე პერიოდში⁷.

როგორც ინიციატორები აღნიშნავენ, [„სამუშაო ადგილებზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ“](#) 1989 წლის 12 ივნისის 89/391/EEC ევროსაბჭოს დირექტივის ზოგიერთ მოთხოვნებს, რომლის ქართულ კანონმდებლობაში ასახვის ვადად განსაზღვრულია **2019** წელი.

შეფასება და რეკომენდაციები

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ მთავრობა ცდილობს შრომის უსაფრთხოების მხრივ ახალი ნაბიჯების გადადგმას და გარკვეულ წილად პასუხობს საერთაშორისო აქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, თუმცა წარმოდგენილი ინიციატივა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით საჭიროებს მკაფიო რეგულაციებსა და დამატებით განმარტებებს, ამ მხრივ კანონპროექტი მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს, კერძოდ:

- **კანონის დონეზე მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების განსაზღვრის შესახებ ძირითადი პრინციპის არ არსებობა**

კანონი ვრცელდება **მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი** სამუშაოებზე, შემდეგ ხდება მითითება, რომ ამ კანონის მიზნებისთვის მომეტებული **საფრთხის შემცველ, მძიმე და მავნეპირობებიანი** სამუშაოების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტში ტერმინთა ერთიანი სისტემა არსებობდეს და მოცემული იყოს მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების განმარტება, რომელიც შეფასების სახელმძღვანელო პრინციპი იქნება და რის შემდეგაც მთავრობის დადგენილებით დადგინდება ამ სამუშაოების ჩამონათვალი.

⁶ on behalf of the European Union, and provisional application of the Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part: https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association_agreement.pdf , Article 228, 229

⁷ მუხლი 229: მრავალმხრივი შრომითი სტანდარტები და შეთანხმებები. 1. მხარეები აღიარებენ სრული და ნაყოფიერი დასაქმებისა და ღირსეული შრომის არსებობას ყველასათვის, როგორც გლობალიზაციის მართვის ძირითად ელემენტებს და ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას იმ ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს სრული და ნაყოფიერი დასაქმებისა და ღირსეული შრომის არსებობას ყველასათვის. ამ კონტექსტში მხარეები ვალდებულებას იღებენ კონსულტაცია გაუწიონ და ითანამშრომლონ სათანადოდ ორმხრივი ინტერესების მქონე ვაჭრობასთან დაკავშირებულ შრომის საკითხებზე. 2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წევრობის შედეგად, ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) შრომის ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ დეკლარაციით აღებული ვალდებულებების შესაბამისად და მის განსახორციელებლად, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წლის შრომის საერთაშორისო კონვენციის 86-ე სესიაზე, მხარეები ვალდებულებას იღებენ პატივი სცენ, ხელი შეუწყონ და ასახონ საკუთარ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში და მთელს ტერიტორიაზე საერთაშორისოდ აღიარებული შრომის ძირითადი სტანდარტები იმ ფორმით, როგორც ეს მოცემულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციებში და განსაკუთრებით: ა) გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკებების უფლების რეალური აღიარება; ბ) იძულებითი ან ძალდატანებითი შრომის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრა.

არსებული მდგომარეობით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის [2007 წლის 3 მაისის ბრძანებით](#) განსაზღვრულია მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხა, თუმცა კანონის დონეზე წარმოდგენილი რეგულაციების შემოღება საჭიროებს პრინციპების და სახელმძღვანელო სტანდარტების სახით განერას, რა კრიტერიუმების შემთხვევაში არის საქმიანობა მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი.

- **არარეგისტრირებული საქმიანობისათვის ჯარიმის არაეფექტურობა და რეგულირების მიღმა დარჩენილი სამუშაოების გამოვლენა**

კანონპროექტის თანახმად, ყველა პირი, რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად აწარმოებს მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებს ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში. მას შემდეგ რაც მოხდება რეგისტრაცია, შესაძლებელი იქნება მის საქმიანობაზე ზედამხედველობა. ასევე აღნიშნულია, რომ აკრძალულია მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოების საქმიანობის განხორციელება შესაბამისი საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში. მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოების განხორციელება ამ საქმიანობის რეგისტრაციის გარეშე გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, რაც ამ სახის სამართალდარღვევისათვის სანქციის უმაღლეს ზომას წარმოადგენს. არარეგისტრირებული საქმიანობის გამოვლენისა და ზედამხედველობის მექანიზმების არ არსებობისა და ჯარიმის ოდენობის სიმცირის გამო კანონპროექტით შემოთავაზებული რეგულაციები არაეფექტურია.

- **ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების შესახებ მკაფიო რეგულაციების არ არსებობა**

კანონპროექტის მე-18 მუხლის თანახმად, განსაზღვრულია ადმინისტრაციული გადაცდომის შემთხვევაში გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სახდელები: გაფრთხილება, ჯარიმა, საქმიანობის შეჩერება.

კანონპროექტით ჯარიმა გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც შესაბამისი საქმიანობას განხორციელებს რეგისტრაციის გარეშე. ასევე, აღნიშნულია, რომ თუკი არაა სახეზე კრიტიკული შეუსაბამობა მოხდება გაფრთხილება, შრომის უსაფრთხოების ნორმების კრიტიკული შეუსაბამობისას კი გამოიყენება ჯარიმა საქმიანობის შეჩერებასთან ერთად ან დამოუკიდებლად.

კანონპროექტი არ განსაზღვრავს რა შეიძლება მოიაზრობდეს კრიტიკული შეუსაბამობის კატეგორიაში, როდესაც მასთან მიმართებაში ადმინისტრაციული სახდელის გამოყენება ორ უკიდურეს ზღვარს ითვალისწინებს.(გაფრთხილება და 5 000 ლარი). მნიშვნელოვანია, რომ პრინციპების დონეზე განისაზღვროს კრიტიკულ შეუსაბამობის კატეგორია, რომლის დამატებით კრიტერიუმებიც შესაძლებელია რომ სხვა აქტებით დადგინდეს. **შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს ეს დისკრეციული უფლებამოსილება მეტ განსაზღვრასა და მკაფიო რეგულაციას საჭიროებს.**

- **ფინანსური და ეკონომიკური ზეგავლენის შეფასების არ არსებობა**

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, შრომის უსაფრთხოების შესახებ ახალი რეგულაციების შემოღება **არ გამოიწვევს ხარჯებს (ბიუჯეტის საშემოსავლო, ხარჯვით ნაწილი, აუცილებელი ხარჯები).** აღნიშნულია, რომ ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული ფინანსური შედეგები დამსაქმებლების მიმართ, რადგან სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების ორგანიზებისა და მართვის გაუმჯობესება დაკავშირებულია:

- ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან
- შრომის იარაღების, ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების შეძენასთან
- ასევე შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებასა და დასაქმებულთა უბედური შემთხვევისგან დაზღვევასთან დაკავშირებით.

კანონპროექტით ასევე გათვალისწინებულია დამსაქმებლის ვალდებულება შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასახული ამოცანების ორგანიზებისა და პრევენციის დოკუმენტის შესაბამისად დანიშნოს ერთი ან მეტი დასაქმებული **შრომის უსაფრთხოების სპეციალისტად** ან შექმნას ამ მიზნით **სამსახური**. *შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და დასაქმებულთა წარმომადგენელი შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი*. 20-დან 100-მდე დასაქმებულის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია დანიშნოს შრომის უსაფრთხოების მინიმუმ ერთი სპეციალისტი. 100 და მეტი დასაქმებულის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური.

არ არის წარმოდგენილი დასაბუთება იმ ნაწილში, რომელიც მოსალოდნელ ფინანსურ შედეგებს უკავშირდება იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება. ასეთი სახის ცვლილებების მიღება საჭიროებს შესაბამისი დასაბუთების წარმოდგენას, იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს კანონის ამოქმედებამ ქვეყნის ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოზე.

შრომის უსაფრთხოების შესახებ რეგულაციებზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია ერთის მხრივ, საკანონმდებლო რეგულაციები აღიჭურვოს შესაბამისი ეფექტური მექანიზმებით და ასევე მეორეს მხრივ აუცილებელია, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი კორუფციის რისკები, რაც წარმოდგენილი კანონპროექტის შემთხვევაში ბუნდოვანი დისკრეციისა და ხარვეზული ჩანაწერების გამო შესაძლოა წარმოიშვას.

დასკვნა

შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სახელმწიფო იყენებდეს მის ხელთ არსებულ ყველა მექანიზმს. აშკარაა, რომ სახელმწიფოში არ არსებობს პოლიტიკური ნება ეფექტურად გამოიყენოს ის სადამსჯელო მექანიზმები, რომელიც უკვე განერილია ჩვენ კანონმდებლობაში. ზუსტად ამით არის გამოწვეული შრომის პირობების დარღვევის ფაქტების არადროული და არაეფექტური გამოძიება.

ცხადია, რომ შრომის უსაფრთხოების სფეროში დღეს არსებული რეგულაციებითაც კი უკეთესად შეიძლება დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა. უდაოა, რომ დამატებითი კანონმდებლობის და ნორმების შემოღება დამატებითი პრევენციული მექანიზმი იქნება სახელმწიფოს ხელში შრომის უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით, თუმცა თუ ის დარჩება ბუნდოვანი და არ მოხდება მისი შესაბამისად აღსრულება, როგორც ეს არსებული კანონმდებლობის შემთხვევაში ხდება, მიზანი არ იქნება მიღწეული დასაქმებულთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით. შედეგად მივიღებთ დამატებით რეგულაციებს და კორუფციისთვის ხელსაყრელ გარემოს.



ეს ბლოგი მომზადდა შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის პროგრამის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ დაფინანსებული პროექტის „პარლამენტის ანგარიშვალდებულებების და მისი საქმიანობის გამჭვირვალობის გაძლიერების“ ფარგლებში. ბლოგში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.